

ნარჩენების მართვის პრაქტიკა და მოსახლეობის ჩართულობა ბათუმში

გიორგი ბოლქვაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის  
ფაკულტეტზე ეკოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად

ბუნების დაცვა და მეტყვეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურა ჯავახიშვილი ასოცირებული  
პროფესორი;

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

*გიორგი ბოლქვაძე, 2026*

## აბსტრაქტი

ნარჩენების მართვა თანამედროვე ქალაქების მდგრადი განვითარების კონტექსტში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრუქტურულ გამოწვევას წარმოადგენს. ბათუმი, როგორც ინტენსიურად განვითარებადი ტურისტული ცენტრი, ნარჩენების ზრდისა და მართვის თვალსაზრისით განსაკუთრებული კვლევითი ინტერესის საგანია. წინამდებარე ნაშრომის მიზანია ქალაქ ბათუმში ნარჩენების მართვის არსებული სისტემის ანალიზი და მოსახლეობის ინფორმირებულობის, დამოკიდებულებებისა და ჩართულობის დონის შეფასება. კვლევა დაფუძნებულია რაოდენობრივ მეთოდზე და განხორციელდა ანონიმური კითხვარის გამოყენებით, რომელიც აერთიანებდა როგორც ფაქტობრივ, ასევე ღირებულებით ასპექტებს.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს აქვს ნარჩენების დახარისხების მნიშვნელობის შესახებ ცოდნა, თუმცა აღნიშნული პრაქტიკა რეალურად იშვიათად ხორციელდება. გამოვლენილ ძირითად ბარიერებს წარმოადგენს შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა, არასაკმარისი და არაკონკრეტული ინფორმირება, ასევე დროის დეფიციტი. მიუხედავად ამისა, გამოკითხულთა უმრავლესობა გამოხატავს ცვლილებებისადმი მზაობასა და მოტივაციას იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნება ხელსაყრელი გარემო პირობები. კვლევა ასევე ცხადყოფს პასუხისმგებლობის აღქმის მნიშვნელობას - რესპონდენტები ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებლობას თანაბრად ანაწილებენ სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტს, მოქალაქეებსა და ბიზნეს სექტორს შორის.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსახლეობის ჩართულობის ზრდას, მათ შორის გარემოსდაცვითი განათლების გაძლიერებას, ინფრასტრუქტურული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, წახალისების მექანიზმების შემუშავებასა და საჯარო-კერძო თანამშრომლობის გააქტიურებას. ნაშრომი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ბათუმის მუნიციპალიტეტის ინსტიტუციურ გაძლიერებასა და ისეთი გადაწყვეტილებების გაუმჯობესებას, რომლებიც მოქალაქეთა აქტიური ჩართულობის გზით მდგრადი გარემოს ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს.

საკვანძო სიტყვები: ნარჩენების მართვა, მდგრადი განვითარება,  
მოსახლეობის ჩართულობა, ბათუმი, გარემოსდაცვითი ცნობიერება

## Abstract

Waste management represents one of the key structural challenges in the context of sustainable urban development. Batumi, as a rapidly developing tourist center, is of particular research interest due to the increasing generation of waste and the challenges related to its management. The aim of the present study is to analyze the existing waste management system in Batumi and to assess the level of public awareness, attitudes, and participation regarding waste management. The research is based on a quantitative method and was conducted using an anonymous questionnaire, which included both factual and value-based questions.

The results indicate that a significant portion of the population is aware of the importance of waste sorting; however, this practice is rarely implemented in everyday life. The main barriers identified include the lack of infrastructure, insufficient and unclear information, and time constraints. Nevertheless, the majority of respondents expressed motivation to change their behavior if favorable conditions are provided. The study also highlights the importance of responsibility perception - respondents assign responsibility for waste management equally to the government, municipality, citizens, and the business sector.

The conclusion presents recommendations aimed at increasing public participation, including enhancing environmental education, ensuring infrastructure accessibility, developing incentive mechanisms, and promoting public-private partnerships. The study seeks to contribute to strengthening Batumi's municipal capacity and improving decision-making processes to ensure a sustainable environment with active citizen involvement.

Keywords: Waste management, sustainable development, public participation, Batumi, environmental awareness